№ 14

12 555

„უუერთგულესი“

ადგილებზე ზოგიერთმა ხელმძღვანელმა ამხანაგებმა ისე დამახინჯებით გაიგეს კოლექტივების მოწყობა, რომ ერთბაშად მოინდომეს შიგ ყველაფერის გაერთიანება.

— აბა, ეს კვერცხებიც ჩასწერე კოლექტივის ქონებაში და მთლიანი კოლექტივიზაცია გატარებული გვექნება.

ცვირა, 13 აპრილი 1930 წ. № 14 (250) ფასი 10 კაპ.

საარქივო „სამკუთხედი“

სიმონ ქებაძეს, რომელსაც მისი თანამშრომლები სიმონ დავითიჩს უწოდებენ, მუდამ „ენაზე დაკერილი“ ქონდა ქება-დიდება იმ დაწესებულებისა, რომლის გამგეთაც თვითონ იყო. ის აქებდა იმ დაწესებულების არა უაღრეს აქტუალურ დანიშნულებას ჩვენი სოციალისტურ აღმშენებლობისათვის, არამედ იმ „ნაყოფიერ“ მუშაობას, რომელსაც თითქოს ის ეწეოდა იმ დაწესებულებაში.

— რაღაც ორი წელიწადია გამგეთ ვარ და ამ მოკლე ხანშიაც კი შეუძლებელი შევძელი, არაფრისაგან ყველაფერი შევქმენი და დაწესებულება თავის სიმაღლეზე დავაყენე! — ცხვირწევით ტრაბახობდა ქებაძე, რომელიც „ტყუილების გუდას“ თავს მოხსნიდა და მანამ არ მოგეშვებოდა, სანამ თავს არ მოგაბეზრებდა.

თავის ქებაში სიმონ ქებაძეს არც კომუჯრედის მდივანი და არც ადგილკომის თავმჯდომარე ჩამორჩებოდენ.

კომუჯრედის მდივნის ვასო ყოყოჩაძის წარმოდგენით ის იყო ყველაფერი:

— პარტია ყველაფერია, მე კი ამ დაწესებულებაში პარტია ვარ!—ხშირად ეტყოდა ვასო თავის ტექნიკურ მდივანს.

ადგილკომის თავმჯდომარე ლევან კინტრაძეც ცნობილი იყო თავის „ბაქა-ბუქიაობით“.

— პროფკავშირი კომუნიზმის სკოლაა! — თუთიყუშივით იმეორებდა ის, როცა მისთვის საჭირო იქნებოდა თავის გამოჩენა.

საქმე იმაში კი არაა, რომ ქებაძე, ყოყოჩაძე და კინტრაძე ტრაბახობდენ და თავის ქებით ბევრს თავს აბეზრებდენ, საქმე მხოლოდ იმაშია, რომ მათ თავის საქები არაფერი გააჩნდათ.

ის დაწესებულება, რომელსაც ისინი განაგებდენ, არა თუ „თავის სიმაღლეზე იდგა“, არამედ დღითი-დღე უკან მიდიოდა... და ეს იმიტომ, რომ ამ „სამთა“ შორის არავითარი კავშირი და საერთო ენა არ იყო.

არ ვიცით: ხედავდენ თუ არა ისინი, რომ დაწესებულების საქმე დანგრევის გზით მიექანებოდა.

ფაქტი კი ფაქტათ რჩებოდა.

მაგრამ ბოლოს...

„ტომრიდან მახათმა თავი გამოყო“ და „სამკუთხედის“ საქმენიც გამოაშკარავებული იქნა.

სოციალისტური შეჯიბრი, სხვადასხვა ბრიგადები, მსუბუქი კავალერიები, პარტიის და აპარატის წმენდა, — თავზარდამცემი შეიქნა ხსენებულ „სამკუთხედისათვის“.

სიმონ დავითიჩ პარტიიდან გაწმინდეს, ყოყოჩაძემ და კინტრაძემ საყვედური მიიღეს უკანასკნელი გაფრთხილებით და სამსახურიდან მოხსნით.

ძველი „სამკუთხედი“ ახალმა შესცვალა. პირველი არქივს ჩაბარდა, უკანასკნელმა კი დაწესებულება დამკვრელად გამოაცხადა და სოცშეჯიბრის ხაზითაც მუშაობა გააცხოველა.

ძველი „სამკუთხედი“ არქივს ჩააბარეს.

არქივმა კი ის „ნედლუტის“ გადასცა.

ყუმბარა.

კოვზი ნაცარში

— აკი გიხაროდა და ამბობდი, რომ ამათი საქმე გათავებულიაო?!

— რა ვიცოდი, თუ ღმერთიც ასეთი უძლური და უბადრუკი იყო!

მურია და ჭერამა

მურია ცუდ გუნებაზე იყო. დიასახლისმა ყანაში ჭუშებს სადილი წაუღო და ის არ წაიყვანა თან. შინ მარტო დასტოვა და დააბარა კარმიდამოსთვის თვალყურის დევნება. ასეთ საპასუხისმგებლო დავალების დროს კი პატარა ნატეხი ჭადი წაუგდო დასაპურებლათ.

მურია დაჩვეული იყო ასეთ დავალებას და მოთმენით ელოდა დიასახლისის ყანიდან დაბრუნებას, რომელიც მას გადმოუყრიდა კიდევ ნასუფრალ ფინჩხლებს ცარიელ კალათიდან.

ეხლა სწორედ იმიტომ იყო მურია ცუდ ხასიათზე, რომ დიასახლისმა დაიგვიანა შინ დაბრუნება და გულგადამყისებული მოუთმენლათ დაელოდებოდა მას.

ამ დროს რაღაც ფეხის ხმა მოისმა და გახარებული ძაღლი წამოიჭრა ზეზე. მაგრამ გაოცებული მურია სატეთ დარჩა: დიასახლისის მაგიერ მან თვალი მოჰკრა ეზოში შემოსულ მეზობლის ძროხა ჭერამას, რომელიც სიამოვნებით კუდის ქნევით აბრამუნებდა ნამყენის ნორჩ ნაყარს.

მოლოდინ გაწბილებული მურია ააღელვა ამ გარემოებამ და გაბრაზებული ყეფით მიაშურა ძროხას, რათა ის მოშორებოდა თავიდან მურიას საცავ კარმიდამოს.

რადგან ჭერამაც ვერ იყო საკმაოდ დანაყრებული, ნამყენის ნორჩი ნაყარი ძლიერ ეგემრიელა და აშიტომ მურიას ყეფას ერთხანს ყურადღებაც კი არ მიაქცია, მაგრამ მურია თანდათან უფრო ბრაზდებოდა და გაანჩხლებული ყეფით უტრიალებდა გარშემო ჭერამას.

მურიას ასეთმა საქციელმა ძროხა გამოიყვანა მოთმინებიდან, ის მოუბრუნდა ძაღლს და გვერდში რქების ამოკერა დაუპირა.

მურია ისეთი ძაღლი არ გახლდათ, რომ ძროხის ასეთი თავხედობა მოეთმინა და მარტო ყეფით დაჯერებული იყო. მან მარდათ აუქცია გვერდი მოღერილ რქებს, თვალის დახამხამებაში შემოტრიალდა და ალმასი კბილები ჩაასო ყურში ჭერამას.

ემწვავა რა ყურში ჩასობილი ძაღლის კბილები, ძროხამ რაც ძალი ჰქონდა გაიქნია თავი. ყური კი გამოგლიჯა ძაღლს კბილებიდან, მარა, მისი პატარა ნაგლეჯი შერჩა პირში მურიას.

ასეთი მწარე გაკვეთილის შემდეგ ძროხა იძულებული შეიქნა დაეხია უკან და ზმუილით მიეშურებია თავისი პატრონის ჭისკრისთვის.

მურიამ ერთხანს მისდია მას ყეფით, მარა ჩქარა მიანება თავი, რადგან ამ დროს თვალი მოჰკრა ყანიდან დაბრუნებულ თავის დიასახლისს. წუთში მას ბრაზი შეეცვალა აღტაცებულ სიხარულათ და წკმუტუნით და კუდის ქნევით მიაშურა მას. მხიარულმა დიასახლისმა გამოფერთხა კალათი და დაუყარა ნასუფრალი ნამცეცები...

—:—

მოთხრობილი ამბავი ამით უნდა გათავებულიყო, მაგრამ ეს ასე არ მოხდა.

მურიას დიასახლისი ფედოსი და ჭერამას პატრონი სერგო აბლო მეზობლები იყვენ, და როგორც შეფერის მეზობლობას, — გადაკიდებული ერთი მეორეში მტრული განწყობილებით.

სასამართლო რომ არ ყოფილიყო ქვეყანაზე, იმერელი კაცი მოიგონებდა მას. და ვინაიდან ის არსებობდა, აბა როგორ გაუშვებდა ასეთ შემთხვევას სერგო ჭიპაშვილი, რომ არ აეტეხა საჩივარი ფედოსი დევდარიანის წინააღმდეგ!

ხარაგოულის რაიონის მოსამართლეს თუმცა ბევრი სხვა იმერული ხრიკები ჰქონდა რიგში გასარჩევათ, მარა გადასდო ყველა ისინი განზე და გულმოდგინეთ შეუდგა პირუტყვთა შორის მომხდარ კონფლიქტის განხილვას.

ჩიილო რა მხედველობაში მოსამართლემ ის გარემოება, რომ ჭერამას ყური უკვე მოუშუშდა საქმის განხილვამდი, ორმოცდაათი მანეთის მაგიერ, რასაც თხოულობდა სერგო, მხოლოდ ოცდახუთი მანეთის გადახდა მიუსაჯა მის სასარგებლოდ ფედოსი დევდარიანს, რომელსაც აგრეთვე სასამართლოს ხარჯებიც დააკისრა.

საქმის უმაღლეს საფეხურზე გადატანა, ვექილის აყვანა, მისელა-მოსვლა—ყოველივე ეს თუმცა ხარჯებს მოითხოვდა, მარა ფედოსი არ დაერიდა ამას,— მოგეხსენებათ იმერელი კაცის და აგრეთვე ქალის პრინციპის სიმტკიცე, — და საქმე გადაიტანა.

აქ, ალბად იმ მოსაზრებით, რომ ქვემო საფეხურის ავტორიტეტი არ შეელახათ, ეს დადგენილება დამტკიცებულ იქნა უცვლელათ.

მაგრამ ვინაიდან ფედოსის უკვე კარგი ძალი ხარჯები ჰქონდა გაწეული ამ საქმეზე და კიდევ ოცდახუთი მანეთის გადახდა არაფრად ეჭაშნიკებოდა, აშიტომ გადასწყვიტა გადაიტანა საქმე მესამე და უკანასკნელ უმაღლეს საფეხურზე.

უმაღლეს დაწესებულებაში კი აღმოჩნდა ისეთი ბიუროკრატი, რომელმაც ზერელეთ გადახედა მთელ დასტა ქაღალდებს ამ საქმეზე და ორაზროვანი ლიმილით წააწერა ზედ: „საქმე მოისპოს. არქივში. ს. თ.“.

მე ვეთანხმები ამ ბიუროკრატის დადგენილებას, — ვინაიდან ჩვენი ინიციალები ერთნაირია, აშიტომ ხათრს ვერ გაუტეხ,—მით უმეტეს, რომ დარწმუნებული ვარ, ხარავოულის მუშაკები მურიას და ჭერამას კოლექტივში გააერთიანებდენ უკვე.

საფიქრებელია მხოლოდ,— მოახერხეს თუ არა სერგოს და ფედოსის შეყვანა ამ კოლექტივში!..

ს. თ—ია.

-ს შემდეგი ნომერი

სპეციალური ქუთაისის ნომერია

მეჯვრისხევის ლოთი-ფოთი თავმჯდომარე

მოჭორილა
არ გეგონოთ
ეს ამბავი;
მართალსა გწერთ.
არ მოგიკვდეთ
ჩემი თავი.
ერთის დაკვრით
დაგვიარსეს
აქ არტელი;
თუმც არ იყო
სამზადისი
ადრინდელი.
თავმჯდომარეთ
ჭოჩორაძე
არის ვანო;
ლოთიფოთი,
ყოყლოჩინა
და უგვანო.
ერთხელ ღვინით
გაილეშა
ის დუქანში,
ისე, რომ ვერ
ეტეოდა
თავის კანში.
და უბრძანა
არტელის წევრს,
თვის მოგვარეს:
მიეგორნა
მყის ურემი
დუქნის კარებს
ბატონივით
მიაბარძანეს
იგი შინა;
ძლივს მიაგნო
სიმთვრალისგან
თვისი ბინა.
მიბარბაცდა
და მკვდარივ.
მიიძინა.
მეორე დღეს
ადგა იგი
ჰქიმეთ, ნელად
და გასწია
სუფთა ცის ქვეშ
უდარდელათ.
თვალი მოჰკრა
მოგუგუნე
ტრაქტორს ველად;
მეშანქანე
ვასილასთან
გაჩნდა ხელათ.
და უბრძანა
მას მიწები
აღარ ეხნა;
ჩამოუგდო
ღვინის სმაზე
თავის კვეხნა.
და მოახტა
როგორც ტაიგს
ტრაქტორს ზედა;
საქეიფოდ ჩაატარა
სოფელზედა.
აი ასე მოათავა
ხვნა და თესვა,
შემდეგ სახლში
ტახტზე მთვრალი
გადაეშვა
და უგრძნობლად
ამოუშვა
ხვრინვა—ხვნეშა.
ტრაქტორი კი
უმოქმედოთ
გდია დღესაც.

უჩინარი.

ნიკოლას ცრემლები

კოლექტივიზაციის გამოცხადების დროს კულაკები საქონელს ასახჩრებდენ, თითქოს მარცხი შეემოხვაო, და ისე ჰყიდდენ საკლავად.



ნიკოლა: — ეჰ, ამ ურემს მე ვატარებდი, — ეხლა კი — ის მატარებს!

„ტარტაროზი"-ს კალენდარი

ჩვენი თანამშრომლების მიერ ჟურნალში უფრო მეტად მონაწილეობის მიღების და მასალების უკეთესად დამუშავების მიზნით, რედაქციამ შეიმუშავა მუშაობის ოთხთვიანი გეგმა, რომლის მიხედვით „ტარტაროზი"-ს შემდეგი ნომრები გამოვა დაახლოებით ასეთი შინაარსისა და განხრით:

№ 15, 20 აპრილი სპეციალური, ძუთაისის

№ 16, 227 აპრილი საპირველმაისო, ანტირელიგიური (საალმდგომო) და პროვინციის განხრით.

№ 17, 4 მაისი — სპეციალური ლიტერატურული.

№ 18, 11 „ „ — ჩვეულებრივი.

№ 19, 18 „ „ —სპეციალური, ბათომის

№ 20, 25 „ „ — ჩვეულებრივი.

თანამშრომლებმა მასალები ამ გეგმისა და მიხედვით უნდა მოგვაწოდონ

— ეჰ, ჩემო პლატონ, მეც შენსავით ყოფილი გავხდი — ნაკულაკარი ვარ დღეს!

პატაკი

ძლიერო ამა ქვეყნისაჲ ძია ტარტაროზ!

მოაპყარ ესე ყური ამა ამბავსა, რომელნიცა იქმნების აღსავსე სიმართლითა მისითა ალილუია ამინ. რამეთუ ბევრი არს ქვეყანასა ჩვენსა ზედა ბრიყვი შლეგი და უვიცნი, რომელნიცა უჯერებიან გადაგვარებულთა და გახრწნილთა ამა ქვეყნისათა, რომელნი ცბიერებითა მისითა ევლინებიან მხარესა ყრუსა, და გაიძვერობითა მისითა იტენიან ჯიბესა მისსა ნათვლარითა უვიცთათა.

ესე ამბავი მოხდა თვესა მარტისასა ახლო მანჭილისა შამხორისასა, რამეთუ მოევლინა მხარესა მასსა გვამი ესე აფერისტი ჯეილ უსეინ ამალითა მისითა და გაასაღა თავი ესე წმინდანათა და ლაღად-ყო: „განიკურნების ლოცვითა ჩემისათა: დავრდომილნი, უფეხონი, უხინათლონი და დამპალნი სნეულებითა მისითა სიფილისისათა".

და გაისმა ამბავი ესე უვიცთათა შინა, რომელნიცა მუნ მიაწყდენ მხარესა მასა და შეწირვიდენ რაიცა გააჩნდათ. ალილუია. ამინ.

ოდეს ამა აფერისტმა დრო იხელთა, მყის მიუხვა ნადავლითა ხალხისათა, რამეთუ არა სძინებია ქაზუკსა მას გ-ე-პ-ე-უ-სა. მუნ შეიპყრო გვამი ესე უსეინისა, რომელსაცა ზედ მიაყოლა ძმანი მისნი და მოათავსა ადგილსა მას მოსანანებელთა ცოდვებისა ამა ქვეყანასა ზედა ბოროტთა შინა, ალილუია, ამინ.

რამეთუ მზგავსსა უმზგავსოებასა აღარ ექმნეს გასავალი ქვეყანასა ჩვენისასა, მოავლინე რისხვა შენი გოგრასა მათსა, რომელნიცა შეეცდება გამეორებასა მზგავსა საქციელსა ამინ. რამეთუ იმათაც აგემე სუსხი შენის ჩანგალისა და მოსდრიკე, რომელნიცა ყურს ათხოვებს ამბავსა მოქირილთა და შეთხზულსა გახრწნილთათა ამა ქვეყნისათა ალილუია და კირიელეისონ ამინ.

კირილე საფირჩხიელი.

შეჯიბრების შედეგი

სოფელ კვირტის საბჭოს თავმჯდომარე, ნიტიფო გახლავთ, გაიცანით!

ეს მეორე — სოფ. ჩირგვის საბჭოს თავმჯდომარეობს, იცნობდეთ, სახელად ანტიფო!

იშვიათი მუშაკები გახლავთ. ამას არც თითონ უარყოფენ.

— უნდა გითხრა ნიტიფო, რომ კვირტში შენისთანა აქტიური მუშაკი მეორე არ მოიძებნება, იშვიათი უმაწვილი ხარ... რაც შეეხება ჩვენს სოფელ ჩირგვს, იქ ვინ იქნება სავარგისი, ამას კი მიხვდები... ასე მიმართავს ხოლმე ანტიფო ნიტიფოს. რაღა თქმა უნდა, ნიტიფო ვალში არ რჩება.

ნიტიფოს და ანტიფოს აქტივობა შეჯიბრების პროცესში გაიზარდა. ისინი თავიდანვე ეჯიბრებოდნენ ერთი მეორეს სხვადასხვა დარგებში, როგორიც არის: ღვინის სმა, საუკეთესო ცხენის შეძენა აღმასკომის ხარჯზე, უკეთესი სახლის აგება და კარ-მიდამოს მოწყობა და მრავალი სხვა.

როდესაც გამოცხადდა კოლექტივიზაციის ტემპის დაჩქარების აუცილებლობა, ნიტიფოს და ანტიფოს გაუჩნდათ შეჯიბრების ახალი ობიექტი.

— ჩემო ანტიფო, შენი კი მეხათრება მაგრამ, ჩემ სოფელ კვირტში მთლიანი კოლექტივიზაცია უნდა გავატარო!

— მერე მე რას გიშლი?

— კი არ მიშლი, მაგრამ ვიცი, რომ შენს სოფელში სამაგისო პირობები არაა მომწიფებული და კოლექტივიზაცია ვერ გატარდება. ამიტომ, თუ ძმა ხარ, ნუ გეწყინება. ჩვენთან უნდა გავატარო უსათუოდ... თუმცა თქვენ რა გაჩქარებთ, მერეც მოესწრებით...

ანტიფო მიხვდა, თუ რა მწარე ირონია იყო ჩაქსოვილი ნიტიფოს თავაზიანობაში.

ანტიფოს სისხლი აუვარდა თავში, მაგრამ როგორც ყველას კარგათ მოეხსენება, დიპლომატიას აქვს თავისი წესები: დიპლომატი ყოველთვის იღიმება, ყოველთვის თავაზიანია და იღებს იმ ცხონებული ბატკნის სახეს, რომელიც ვერაგულათ დაკლა კულაკმა მამა აბრამმა, მაშინ, როცა ლენინ მომზადებული იყო საერთაშორისო ომი და სხვა ამისთანები. ამიტომ, დიპლომატმა ანტიფომ საწყლად გაიღიმა დიპლომატ ნიტიფოს წინაშე და განაცხადა, რომ როგორც თითონ, ისე მისი სოფელი ჩირგვი ქედს იხრიან სოფელ კვირტის წინაშე.

ამით გათავდა მათი საუბარი.

— თუ გიჩვენე როგორი ბიჭი ვარ, ხომ კარგი, თუ არა და... ფიქრობდა სახალისკენ მიმავალი ანტიფო.

დაიწყო კოლექტივების დაარსების კამპანია. როგორც სოკოები, ისე ჩნდებოდნენ კოლექტივები: საღამოს სოფელი ინდივიდუალურ შეუერთებლობის სამოსელში იძინებდა, დილით, გაიხედავთ, უკვე მთლიანი კოლექტივიზაციის სიო დაჭრის გუშინდელ ინდივიდუალურ, დაქსაჭსულ მეურნეობებში. შუადღემდე წაშლილია ყოველგვარი ზღუდე, მოშლილია ღობეები და დაღამებას კი მთელი სოფელი მთლიანი კოლექტივიზაციის ასმეტრიანი საბნის მოლოდინში ელის.

მთელი ღამე იფიქრა ანტიფომ და, ბოლოს იპოვა გამოსავალი:

დილით სასწრაფოდ მოიწვია მთელი სოფლის გლეხობის კრება და გამოუცხადა, რომ სოფელი ჩირგვი კომუნაზე უნდა გადავიდეს.

გლეხობამ ვერც კი გაიგო, რაზედ ლაპარაკობდა აღმასკომის თავმჯდომარე.

— ნეტა რა იქნება ეს კომუნია?— იკითხა ერთმა.

— ეს ის არის, რომ ყველაფერი საერთო იქნება, შენ—ჩემობა ისპობა, ჩაცმა ერთი, ჭამა ერთი, ძილი ერთი, ყველაფერი საერთო უნდა იყოს, ავაგენგონოთ ტრაქტორები და პირდაპირ შევიდეთ სოციალიზმში!

გაისმა უკმაყოფილების ხმები.

— რა დროს კომუნაა, ჯერ კოლექტივიც არ დაგავიარსებია, გაგაგებინეთ, რას ნიშნავს კომუნა!

თავმჯდომარე აღშფოთდა.

— ეს არის კულაკური პროვოკაცია... მაშ ჩიენ სხვას უნდა ჩამოვრჩეთ, მთელი ქვეყანა კომუნაზე გადადის, ნიადაგი და პირობები მომზადებულია, საკითხი მომწიფებულია და, შეთანხმებული! აბა ვინმემ რამე გაბედოს, ვაყურებინებ სეირს, რას მიქვია წინააღმდეგობა! ასწით ხელი ვინც კომუნის მომხრე ხართ, ხელი ასწით თქვა გელბნებით, თორემ ბოლოს გვიან იქნება... ვინც კომუნაში არ შევა, იმას ხმის უფლებას წავართმევ, გავასახლებ, დავიჭერ და ქონებასაც გამოვითხოვოს!... ხელები მაღლა!

ხელი მართლაც ასწია რამოდენიმე კაცმა. (ხუმრობაა აღმასკომის თავმჯდომარის მუქარა?).

— მაშასადამე, საკითხი მიღებულია, ხმის უმრავლესობა ჩვენს მხარეზეა. დღესვე შეუდგები კომუნის დაარსებას! აგერ მაქვს რეზოლიუციაც....

კრებამ „მიიღო" რეზოლიუცია კომუნის დაარსების შესახებ.

ამრიგათ, სოფელი ჩირგვი უკვე გადავიდა კომუნაზე...

რა ხალახია ეს ღარიბი და საშუალო გლეხობა! თურმე სოფელ ჩირგვში კომუნის ნიადაგი მომზადებულია, და საკითხი სავსებით მომწიფებული, მაგრამ გლეხებს მაინც არ სურდათ კომუნა! კარგი, რომ ჩირგვს ისეთი ხელმძღვანელი ყავს, როგორიც არის თავმჯდომარე ანტიფო. მაგრამ ვთქვათ, ანტიფო არ ყოფილიყო! მაშინ ვინ აღირსებდა სოციალიზმს სოფელ ჩირგვის გლეხობას?

რა ქნა ნიტიფომ და მისმა სოფელმა კვირტმა?

აქ სურათი არც ისე მომხიბლავია, როგორც ჩირგვში, მაგრამ წარმატებები მაინც თავბრუდამწვევია: კვირტში გატარდა მთლიანი კოლექტივიზაცია.

მართალია, სოფ. კვირტის გლეხობა არც მთლიანობის მომხრე იყო და მხოლოდ მიწის საერთო ძალით დამუშავებას მოითხოვდა, მაგრამ საქმე გლეხებზე ხომ არ არის იქ. სადაც ნიტიფო განაგებს.

როგორი იყო ნიტიფოს განცხადება, როცა იგი შეხვდა თავის მეგობარ ანტიფოს და გაიგო ჩირგვში კომუნის დაარსების ამბავი!

ნიტიფო ჩაჯდა აშკარად. ჭამა სირცხვილი.

მაგრამ როგორი-ღა იყო ნიტიფო-ანტიფოს გაკვირვება, როცა ჭალაქიდან ჩასულმა მუშათა ბრიგადებმა გამოიკვლიეს საქმე, გამოჭითხეს გლეხებს და მათი სურვილის თანახმად, გააუქმეს ანტიფო - ნიტიფოს რეზოლიუციები, აიძულეს გლეხების სურვილს და ორივე სოფელში მოაწყვეს უმარტივესი გაერთიანებები, მიწის დამამუშავებელი და სამანქანო ამხანაგობები!

ეს კიდევ არაფერი: თქვენ წარმოიდგინეთ ნიტიფო - ანტიფოს გაკვირვება და ასე გასინჯეთ, წყენაც, რომ მუშებისა და გლეხების თაოსნობით, ორივე თავმჯდომარე გადააყენეს...

ამას კიდევ რა უშავდა, მაგრამ რა უნდა ქნან ანტიფო-ნიტიფომ, რომ მათ საზოგადოებრივ - საჩვენებელ გასამართლებასაც უპირებენ?!.

— რა შეიცდი, რომ აღმასკომის თავმჯდომარეთ დავდექი! — ამბობს ნიტიფო.

— მეც მიჭარე და ახლა რალაი, ნამეტარი საინტერესო ხელობა ყოფილა, — უმატებს ანტიფო.

ალლარ-ალლარხან.

„მუყაითი“ გადმოკეთებულია

გიორგი როცა სამსახურიდან დაბრუნდა, სახლში სოფლიდან ჩამოსული სტუმარი დახვდა.

— თეკლეს სალამი და კარგად ყოფნა! — მიესალმა გიორგი სტუმარს.

— რაღაც სერიოზული საქმე გქონებია, რომ ასე მოულოდნელად გვესტუმრე... სხვა ახალი რა ამბავია სოფელში? — ეკითხებოდა გიორგი.

— ახალი ის არის, რომ გერასიმე პარტიიდან გამოაგდეს!

— როგორ თუ გამოაგდეს!?

— სულერთია... გამორიცხეს, მანდატი ჩამოართვეს, აღარ დაუბრუნეს. ისეა კაცო, რომ „დანა პირს ვერ გაუღებს“.

— რისთვის გამორიცხეს პარტიიდან?

— გადახრა გაქვსო.

— რმელი გადახრა?

— ეს არ ვიცი...

— ალბად „მემარჯვენე“ გადახრა ჰქონდა.

— შეიძლება... მაგრამ ისიც შეიძლება, რომ „მარცხნივ“ გადახრა ჰქონდა.. არ ვიცი...

— მაშ რა იცი, ქალო,— უსაყვედურა გიორგიმ თეკლეს,— ქმარი პარტიიდან გამოგიგდეს და არ იცი რისთვის! არ იცი რა შეხედულების იყო ამ „მემერცხენე - მემარჯვენე“ გადახრებში?

— არავითარი შეხედულება არ ჰქონებია; მაგ საკითხებში ვერც ერკვეოდა.

— მაშ, რა მოუვიდა? კერძო გადახრები თუ ჰქონდა, მაგ., როგორიც არის: კულაკთან კავშირი, ვაჭრობის... ::

— აპაპაპაპა! გერასიმე ისეთი პატიოსანია და იდეური, რომ მაგას როგორ იკადრებდა.

— ვერაფერი გამიგია! მაშ სხვა რა ჯანდაბა გადახრა ჰქონდა?

— ალბად იმიტომ, რომ მეტისმეტი ბეჯითი და მუყაითი იყო. სწორედ ამის გამო გადავარდა...

— „გადახრაში“?.

— დიახ!

— ვერაფერი გამიგია.

— რა არის აქ გაუგებარი! როცა გამოცხადდა „მემარცხენე“ გადახრას წინაალმდეგ ბრძოლა, ჩემი გერასიმეც ისე ენერგიულად შეებრძოლა „მემარცხენე“ გადახრას, რომ საზღვარი დაავიწყდა და, მისდაუნებურად, მარჯვნივ გადიხარა. მარჯვნივ აილო კურსი და „მარცხენიზმის“ საწინაალმდეგო პოლიტიკას ატარებდა მუყაითად და დაუზარებლად...

შემდეგ გამოცხადდა ბრძოლა მემარჯვენე გადახრის წინაალმდეგ. აქაც, როგორც მუყაითი და იდეურმა მუშაკი ისე ენერგიულად შეებრძოლა ამ გადახრასაც, რომ თავის უნებურად სულ „მარცხნივ“ გადაიხრა და „გამემარცხენდა“.

როცა შენიშნავდენ: — „ გერასიმე, შენ მემარცხენეობა გეტყობაო“, —ამ ცილისწამების გასაფანტავად ის უფრო და უფრო მარჯვნივ იხრებოდა... ხოლო, როცა ეტყოდენ, — „შენ მემარჯვენეობა გეტყობაო“, —აქაც ცილისწამების გასაფანტავად სულ მარცხნივ იხრებოდა, რომ დაემტკიცებინა თავისი ერთგულება პარტიისათვის.

— ჰააა, ეხლა კი მივხდი! — სთქვა გიორგიმ და თეკლეს შეეკითხა: — ამონაწერი ხომ მისცეს, თუ რა მიზეზით გამორიცხეს პარტიიდან?

— კი, როგორ არა. აი, ეს არის,— და თეკლემ გიორგის ქაღალდი გადასცა.— მეც იმიტომ ჩამოვედი, რომ უნდა დამეხმარო მუშგლეხინში გერასიმეს შესახებ...

ქაღალდში გიორგიმ ამოიკითხა: „....როგორც იდეოლოგიურად უცხო, უპრინციპო და მიტმასნილი ელემენტი“... და სხვა.

ჰ ბ.

„შეჯიბრი“

საფრანგეთის ახალშენებში ძლიერდება აჯანყებები, რომლებსაც ფრანგი ჯალათები დაუნდობლად ახშობენ.

— ვაცხადებ თავს დამკვრელად და ვიწვევ შეჯიბრში საფრანგეთის ახალშენების ყველა გუბერნატორებს.

აჩრდილი უკანასკნელი არჩევნები დამთავრდა ოპოზიციონურ პროფკავშირების სრული გამარჯვებით.

— ღმერთო და სოციალ - დემოკრატებო, დამიფარეთ ამისაგან!

კითხვა-პასუხი

საბჭოთა აპარატის წმენდაზე

— ჟუჟუნა კოხტაძე, თქვენი წლოვანება?

— 1909 წელშია ვარ დაბადებული.

— სამსახურის სტაჟი?

— 15-16 წელი.

— როგორ, თქვენ ხომ სულ 20-21 წლის გამოდიხართ?

— დიახ, თუ გათხოებაზე დაისმება საკითხი.

—:—

— ბრეგვაძე პარმენ, რომელ ომში მიგიღიათ მონაწილეობა, და იყავით თუ არა დაჭრილი?

— მე ომი ბევრი გამომიცდია, მაგრამ ისეთი არასოდეს, როგორც გუშინწინ ჩემმა ცოლმა ჯამაგირის სახლში მიტანის დროს ამიტეხა, დამჭრა თავში და მოთავსებულ ვიყავ პირველ საავადმყოფოს ქირურგიულ განყოფილებაში.

—:—

— დარდიმანდიშვილო, რა არის კავშირი?

— პურ-მარილით მოპოებული ძმა-ბიჭების კამპანია!

ბოლოზა.

კახეთში მგზავრობა

კარდანახი

— ეს არის სამართალი?— ეუბნებოდა ერთი გლეხი მეორეს.—მე ღარიბი კაცი ვარ და გადასახადს მაწერს ჩვენი აღმასკომი. იასე ხიმშიაშვილს, რომელიც მდინარე ალაზნის გაღმით ღორებს ყიდულობს და ფარულად ვაჭრობს, წლიურად ათ ბოჭკა ღვინოს ყიდის, დაქირავებული შრომით სარგებლობს და ყვლეფავს ღარიბ გლეხობას, — სრულიად ანთავისუფლებენ ყოველგვარ გადასახადისაგან.

— ალბად ნათესავი კაცი, თუ ყავს საბჭოს წევრად, თორემ მეც მიკვირს აგრე რომ ხდება!—უთხრა მეორემ და გაშორდა.

სოფ. გურჯაანი

— მომეხმარეთ, ჩემი დაბადების წელი მესაჭიროება. მდივანს ორი თვეა ვეხვეწები, მაგრამ სულ „არ მცალიაში" გაატარა დრო. დღეს თანამშრომლები ყველა საქეიფოდ არიან წასული და რა დავიმარტოხელე აღმასკომი, მე თვითონ ვეძებ. მაგრამ წერა-კითხვა არ ვიცი და ისე აბა რას ნახავ!— მითხრა დარაჯმა და ამოიოხრა.

— ნუ თუ კიდევ არიან წერა-კითხვის უცოდინარნი ამ თემში?—გულმოსული წავილუღლუღე და ავუსრულე დარაჯს თხოვნა. ძებნის დროს შკაფში წავაწყდი რევიზიის მიერ შედგენილ ოქმს, რომელშიაც ეწერა: „ადგილობრივი რევიზიის დროს აღმოჩნდა, რომ თეატრის გამგეს ანტონ კიკალეიშვილს გაუფლანგავს აუარებელი ფული. მართალია, ბოროტმოქმედების დასაფარავად კიკალეიშვილმა წარმოადგინა ყალბი საბუთები, მაგრამ მისმა „კვაჭობამ" ჩვენთან ვერ გასჭრა. რევიზიის მითითებით წინადადება ეძლევა თემაღმასკომს, რათა ეს ოქმი გადაეცეს სიღნაღის პროკურატურას.

— ხა-ხა-ხა-ხა... რა მოხერხებული კაცი ყოფილა ეს თქვენი კიკალეიშვილი! — უთხარი დარაჯს და ოქმი წაუკითხე.

— ეგ ოქმი ნახევარი წელია, რაც დაიწერა და კიდევ არ წარუდგენიათ პროკურატურისათვის.

სოფ. აფენი.

დილით სოფ. აფენში მოვედი სკოლასთან დავინახე კოოპერატივის საწყობის გამგე სევერიან მაჩაიძე, რომელსაც შუბლიდან სისხლი გამოდიოდა და ორ კაცს ძლივს მიყავდა.

— რა დაემართა?—ვიკითხე მე.

— ქორწილიდან დაბრუნებულმა გალეშილმა სოგრატოვმა ტყუილა-უბრალოდ ლევორველი ესროლა!— მიპასუხეს.

სიღნაღის თემაღმასკომში გავიქეცი, მაგრამ საუბედუროთ ერთი მძინარე მილიციონერის მეტი არავინ დამხვდა.

— თავმჯდომარე და მდივანი ავად არიან; დარაჯი კიდეც „გარდაიცვალა"!— მითხრა გამოღვიძებულმა მილიციელმა.

— გადამდები სენი იქნება!— ვიფიქრე და გამოვიძიე მათი ავადმყოფობის მიზეზი.

აი რა მიამბეს: „გასულ დეკემბრის 25-ში შობის დღეს აღმასკომის თავმჯდომარე მთელ დღეს ქეიფობდა. დარაჯი და მდივანი მის საძებნელად წასულიყვნენ. საწყალი დარაჯი გზაზე ტალახში ჩავარდნილიყო და დამხჩვალიყო (ეს მე არ დავიჯერე, რადგან ტალახები აქ წელ ზევით არ ამოგწვდებათ და წელამდის საქვოთ მიმაჩნია, რომ კაცი დაიხრჩოს). მდივანი კი ცუდი გზების გამო დაცემულიყო და მარჯვენა ფეხის ნეკის ფრჩხილი სტკენოდა. საღამოს მთვრალი თავმჯდომარე აღმასკომში საქმეზე მისულ გლეხებს ლანძღვა-გინებით გამოკიდებოდა, კიბიდან გადმოვარდნილიყო და ცხვირი გასტეხოდა.

— რატომ თავი არა!— ვიფიქრე და... აღმასკომიდან წამოვედი.

ძირულელი თალა.



ჩვენი ინტელიგენციის ერთი ნაწილის საქმიანობა.

ახალგაზრდა მხატვრებო!

მოგვაწოდეთ საკონკურსო ნახატები

„შეცდომით“

— ათას ხუთასი ფუთი კი არა, შეიძლება მეტიც წამოვილო — ამაყად განაცხადა ნიკომ, რომელიც მეთაურად ახლდა იმ ოცდათორმეტ ურემს, რომლებიც ოზურგეთის მებაღეობის რაიკავშირის დეპეშის თანახმა, ჩოხატაურიდან ოზურგეთში დაიძრა სათესლე ქართოფილის მისაღებათ.

— ურმები ჩამოვიყვანე, აბა რა ვქენი, ათას ხუთასი ფუთი ქართოფილის ზიდვა მარტო მე რომ შემეძლოს, აქ, თქვენთან რა მინდოდა? თფილისის ცირკში წავიდოდი საჭიდაოთ! — მოუჭრა სიტყვა ნიკომ.

— არა, კაცო... საქმე ის არის, რომ... რომ დეპეშა შეცდომით დაგვირჩა გამოგზავნილი! — ძლივს ამოილუღლუღა თავმჯდომარემ.

— როგორ! ქართოფილს არ გვაძლევთ თუ?!

— როგორ არა, გაძლევთ, მაგრამ ახლა არ გვაქვს.

ოზურგეთში ნიკო თავისი ტრანსპორტით მიადგა მებაღეობის რაიკავშირის თავმჯდომარეს, რომელსაც გადასცა დეპეშა და ქართოფილის მიღების მინდობილობა.

— კაცო, ურმები ხომ არ ჩამოგიყვანია? — შეეკითხა თავმჯდომარე.

— პატრონი რომ გყავდეს, ტყავი უნდა გაგაძროს კუდის რიკამდე! უთხრა ნიკომ და...

— და მეურმეები „ცარიელ - ტარიელი“ ჩოხატაურში დაბრუნდენ უკანვე.

ტოქსინი.

ტელეფონთან

სოფ. კუხი.

ა. კუხია? ნიკო ხარ? ნიკო, [illegible]სკომის მდივანი? ეხლა ვინ არის მაქ? სერგო? რომელი სერგო? გამწმენდმა კომისიამ რომ მოხსნა? „მოსე მწერალს“ რომ ეძახიან? კაცო, მერე-და ჯვარდაწერილი ხომ არ არის ალმასკომზე, რომ არ იქნა მისი მოხსნა!? ხონელ „ბებიების“ წყალობით! მერე თვითკრიტიკა რატომ არის? კულაკებმა მოითხოვეს მათი დატოვება? ჰააა, გასაგებია, გასაგები.

მითხარი, ერთი, ეს ლევანა რას შვება? როგორ ურიგდება ჩვენს ხელისუფლებას? ურიგდება კი არა, პარტიულია? რას ამბობ? მე იმ ლევანას გეუბნები, ჭიათურის შავი ქვის მრეწველი, ექსპლოატატორი რომ იყო! შემდეგ მამასახლისი, შემდეგ მენშევიკების კომისარი. 17 წლიდან უწერია სტაჟი პარტბილეთში? მერე-და ქონიან ლაფათქაზე რატომ არ დააჯენთ?! ძველი ნამამასახლისარია და გამოცდილია? მათრახი ემარჯვება. კარგია დღეს სოფელში ასეთი კაცი.

რაო? იპოლიტეს უნდა ჩემთან ლაპარაკი? შვიდწლედის მასწავლებელს? ანლაც ხომ არ არის მთვრალი? ვიცნობ, ვიცნობ, მაგი განათლების განყოფილების დეცენტრალისტია. ღვინის ბრალი იყო? იმაზე რას იტყვით, რომ კომკავშირის უჯრედი კლუბიდან გარეთ გაყარა და თვითონ ცოლშვილიანად მოკალათდა და გადასახ[illegible] ემუქრებოდა! ესეც ღვინის [illegible] იყო? საცოდავი ღვინო! რამოდენი ბრალდებები აქვს.

აა, კოწია მოდის აქ და მას გამოვატანო? არც მაგია სუფთა კაცი. მაგისთვის ამბობენ, საკუთარი „თეორია“ აქვს საკოლმეურნეო მშენებლობაშიო; „წითელი კულაკიაო“... ზოგიერთები ამტკიცებენ, ნეპმანია რევოლიუციის შემდეგ გამდიდრებულიო!

კინტილიკა.

ბირჟაში



— ცოლიანი ხარ თუ არა?

— ეს კი არ ვიცი... დილის შემდეგ სახლში არ ვყოფილვარ!

ბაასი

მიხო და ვალია ერთმანეთს შეხვდენ შორაპნის სადგურში.

— ბატონო მიხო, რაიკომი მოითხოვს დაპირების შესრულებას, რაღა მეშველება? სად წავიდე?

— მე ოხერო, მაგოდენა თავი გაქვს და შიგ არაფერი გიყრია. მაგისთანა რაიკომები გამიცრუებია ყინვაზე? ხომ იცი ჩვენი პროტექცია, როგორი დიდი ხალხია. ოღონდ ხომ არ იციან იგენმა, რომ შენ შავსიელი და არა-კავშირის წევრი ხარ? არც ის იციან, რომ შენ ამას წინეთ პასუხისგებაში იყავი მიცემული ყალბი ფულების გავრცელებისათვის? თუ გაგიჭირდეს, მაცნობე, მე კი ტფილისში ვაცნობებ პროტექტორებს. ისინი დიდი ხალხია.

— თუ ცველებმა გაიგეს, რომ შენ ყოფილ მოიჯარადრეებთან, ვაჭრებთან და აფერისტებთან გაქვს საქმე? მათთან სვამ, სჭამ და მაგათთან გძინავს, მათთან აწყობ ბნელ საქმეებს! თუ ისიც გაიგეს, რომ ათასგვარ სიყალბეს ჩავდივარ... რომ ამ პატარა წარმოებაში, სადაც ოცი კაცი მუშაობს, ექვსი შავსიელი, ყოფილი არენდატორია და არა-კავშირის წევრები? თუ ისიც გაიგეს, რომ მეა თი საათის შრომით დაღლილ დამლაგებელ ქალებს ოთახში ვეპატიჟები (ალექსანდრას გარდა, რომელიც ხანდახან ფეხებს მბანს, ოთახს მილაგებს და დროგამოშვებით ზურგს მოხნის),—მაშინ მშვიდობით ჩემო ბლუფეთო და თბილო ადგილო. თუ ისიც გაიგეს, რომ შენ ყოფილი მიკიტანი ხარ, მაშინ მშვიდობით სმა-ჭამა და ქეიფო.

— შე ოხერო, რომც გაიგონ, კავშირები ფეხებს ვერ მოგჭამს, მათ ამის არაფერი გაეგებათ და რაიკომს აქ მე არ ვემორჩილები. მაგისთანა შავი საქმეები მომიხერხებია! მე აგერ არ ვარ! მთელი ხაზი მაბარია და შორაპანი რა წითელი კვერცხია. ოღონდ ვალია შენ შეუდექი ყალბი საქმეების კეთებას—გავავრცელოთ ჭორები, ამისათვის დავეხმაროთ ნიკოლოზი, იასონი, დავითი, მელიტონი, ვასო, ალექსანდრა და ვასო № 2, ვინც არ დაგვემორჩილების, შევაშინოთ დათხოვნით და საქმე გაიჩარხება.

ჩქარი.



ჩვენი მხუცუქი კავალერიის თავდასხმა ტფილისის სასამართლოებზე

მისებრს უხეშს, ბიუროკრატს,
ფორმალისტს და ქვეწარმავალს,
მისებრს უხეშს, ფლიდს და მლიქ-
ვნელს
ვერ შეხვდებით ჩვენში მრადალს.
უზენაეს სასამართლოს
მდივნათ არის გაიძვერა.
მისი გვარი ცინცაძეა,
ეზიზღება იგი ყველას
ინტრიგანს და ბიუროკრატს
აპარატში რაღა უნდა,
იმისთანა მავნებლებსა
რკინის ცოცხი! ქვა და გუნდა!

მეორე უბანს ამშვენებს
სარაჯი ილი მარიამ
მდივანი სასამართლოსი —
ხმა ტკბილად მოუბარია.
„გაძვირდა კოტიკ-პამადა
გული მათ ეტრფის, ჰმონებსო“...
როგორ იყიდოს? თქმულია:
„ხერხი სჯობია ღონესო“
და ხერხს მიმართა მდივანმაც:
იჯიბა ფული მარკისა,
იყიდა კოტიკ-კომბინე
ათას ფერის და დარგისა.

დილმელაშვილი რუსუდან
დეზერტირია შრომისა,
გულით ზვიადი, მოყვარე
ხკანდალების და ომისა

— „რა კარგი არის ვაჭარო.
შენი ეშხი და მიმიკა
შენი ლაბაბის ჭირიმე
მოდი, მაგ გულზე მიმიკარ.
როგორ აიტანს ამ საქმეს
ქმი გული და გონება,
რომ გაიყიდოს საჯაროთ
ვალებში შენი ქონება?
შენთვის „აბრუნდის“ ჩავიდენ,
შენი გულისთვის ვტირი მე.
მარტიროსოვო, ვაჭარო,
დაგენაცვლე, ჭირიმე“—
ასეთ ჰანგებზე გაჰკივის
ბიძინა მთად და ბარადა,
პირველი უბნის მდივანი,
ლასხიშვილია გვარადა.



კოკელიძეა გერონტი
მესამე უბნის მდივანი.
ბევრი ცოდვები გაუგეს,
გული დაურჩა მტკივანი,
სახლში მიჰქონდა ქურდულად
ნივთები მრავალ-გვარები.
ჩამორთმეული ქონების.
წიგნები, კალამ-ტარები.

ჩესალინი პეტრე იყო
ძველად გოროდოვოი
— ტო ჩტო ბილო ვსიო უპლილო
პიოტრ ივანიჩ... დოლოი!

ალმასრულებელს, — ქეიშვილს.—
ყველგან იცნობენ, იციან
რომ იგი თანამედროვე
მიკირტუმ გასპარიჩია.

პირველ უბნის სამდივნოში
ბალეტია ყოველ დილას, —
ტაშს უკვრენ და
ფოქსტროტს ცეკვავს.
ბორისენინი ლიუდმილა.



ნიკოლოზის ყული, — მონა,
გამოქნილი, ვით მელია,
შახნოვიჩი მეარქივე—
ძველი პოლიციელია.

დამლაგებელს ხაჩატუროვს
ხად ხელაია დაალაგოს?
ქუჩის ქალებს აქეიფებს:
ვარსენიკას, მერის, მაკოს,
თან ჩარჩობას არ ეშვება,
ვაჭარი და დალალია,
ამისთანა „ჩესტნი“ „მუშა“
რომ წავიდეს, — ალალია.

რ ა დ ი ო

სამტრედია, მესამე ილორი. ოთხწლედმა სთქვა — ჩვენმა სკოლამ: „ვერვინ მოვა ჩემზედაო, ალმასკომის თავ-მჯდომარე შემჯდარიყო ცხენზედაო: მოუყვებოდენ სოფ-ლელები, დაგეშილი ჩემზედაო, თოფ-ხანჯალში გაწკეპ-ნილი, ხმლებიც ერტყათ წელზედაო. ერთმანეთსა ჩემ გულისთვის დაერიენ სოფლებიო. იძახოდენ: —„ჩვენთან უნდა გადეიტანოთ ოთხწლედიო“, იკინკლავეს, იკამა-თეს, მიაყოლეს კრებას კრება. დაადგინეს ბოლოს: „რა-ფგან სკოლა ყველას გვეჭირვება, შუა ადგილას გადეიტა-ნოთ სკოლა მოკლე ხანშიაო, კომისიას დავავალოთ, ავირჩიოთ წამშიაო“. აირჩიეს კომისია, დავრჩი გასაჭირ-შიაო: ისევ ელპები ძველ ადგილზე — კომისია ძილშიაო.

ბრაგუნა.

ტყიბული.— სასადილოს თუ ეწვევით, თქვენ იქ კერძის ლოდინითა თმა გაგიჭაღარავდებათ, გაქვავდებით ლოდვითა, როცა კერძი „მოგერთმევათ“ თქვენ და-აფჩენთ შიშით ხახას, რაც კი „გინდა“ სული, გული, კაცის თვალი მასში ნახავს. კერძში არის: თმა, მავთუ-ლი, ჭია-ღუა, ხოჭო, მატლი და მსუქანი ტარაკანა: შე-გეწევათ მისი მადლი!

მედგარი.

ჭიათურა. კლუბში მსახურობს ყმაწვილი, თმა-ხუჭუჭა ბიჭია, ცოლს იცვლის ქალამანივით, ამაში და-ჰყვა ნიჭია. განსაკუთრებით ჩაიწვა იგი მსახიობ ქალებში, მათ ანაცვალა როლები, მათთვის ჩავარდა ვალებში.

დროშელი.

სოფ. ხევი (ოზურგეთის მაზრა). ხეველებმა გადა-სწყვიტეს, რომ ჰქონოდათ მათაც ეპო (მით სოფელმა ჩოხატაურს „განი უქნა“ — გამოეყო) და წადილიც სის-რულეში მოიყვანა ხევმა ხელად. ეპოს გამგემ ანდრომ იგი დიდხანს თალა, დიდხანს წველა; შემდეგ ანდრო გა-დააგდეს (გადაჰკიდეს ხათაბალა), იმის შემდეგ ჩვენი ეპო **სიოს ბიჭმა** კუჭნა, თალა, სიოს ბიჭიც გამოაგდეს — „ფლანგუს“ უყო მანეთს სამასს, ისევ ანდრო დააყენეს, ნაჩვევია ძეხვის ჭამას, უბედური ჩვენი ეპო, უბედური მისი ბედი, გველუპება „ტარტაროზო“, თუ დროზე არ ჩამოხვედი.

კოზი.

მიმქრალი სინათლე

ოზურგეთი

— საითკენ მიდიხართ ამ სანთლებით?
— აგერ ჩვენს თეატრში... ხომ იცით ჩვენი ელსად-გურის ჩვეულება?!

ძირულა. — ამ ჩვენს წითელ სასადილოს შეედრე-ბა რამე ნეტა? კერძში მოაქვთ მხოლოდ ძვლები, რბილს ვერ ნახავ გასაკვნეტად, ჯერ ლოდინით უნდა მოკვდეს იგი, ვინც აქ ისადილებს, თუ მოესწრო სადილს, სახლ-ში ვერ წაიღებს საღათ კბილებს. კერძი ლუკმაც არ გა-მოვა, მის გამგე კი — **აქვსენტია**, მსუქან ნაჭრებს თვითონ ყლაპავს, გაიძახის „ტია-ტია“.

დავიდუსი.

იგავ-არაკი

„შეშინებული ძაღლი სამს წელი-წადს ჯირკს უყეფდა“-ო.

მე მეზობლად მახობელ მყავს,
მახობელი, კაცი ავი,
ბევრჯერ მზეზე გაფენილა
მოქმედება მისი, შავი,
ბევრი რამე აღმოაჩნდა
ნაძარცვი თუ ნაპარავი,
მაგრამ მაინც რომ არ ტყდება?
სწორედ ჯირკს ჰგავს მისი თავი!
ამა, სიტყვით თუ პასუხით
ისეთია, როგორც ჯარა,
პილპილივით მწარეა და
თხის წვერივით მეტიჩარა,
უსაშველოთ მტიკავია
თუ მეჭორე შარდაშარა,
გესლისა თუ სამსალისგან,
ის აროდეს არ გამშრალა!..
მაგრამ მაინც ბედი სწყალობს:
ერიდება იმას ყველა,
პირში ეგლახს ევრეინ ჰკადრებს,
ჰკადრებს და ჭხამს თავის შველა,
თუ არ უნდა, რომ დაატყდეს,
ამ კაცისგან თავში ზელა:
პირში იგი **მახობელ** არს,
პირს უკან კი — **მახობელა**!...
ერთ დღეს ქუჩის ეზო-კარზე,
გაჩნდა სანიტ - კომისია.
მახობლის სიბინძურემ
თუმც გულ - ბოყვი დამისია,
სიბინძურე თუმც ერთია:
რა ჩემი თუ რა მისია,
და მაინც მე სანიტკომმა
ერთი ყოფა დამიწია!..
როცა... როცა მახობელზე
ვერ დასძრა ვერც ერთი სიტყვა:
მახობელი მხარ-თეძოზე
თვით სანაგვე ყუთთან იწვა,
„ფერი ფერსა, მადლი ღმერთსო“,
ბარაქალა, ვისგანც ითქვა!..
მაინც ამას სანიტკომი
ისე შეხვდა თითქმის, ვით ქვა!
და ქვასავით თუ, ვით სეტყვა,
მე მახლიდა სიტყვებს პირში:
„ეს სანაგვე ყუთი, რომ გაქვს
გახვეული აგერ ხვირში,
ან ფილტვები როგორ გიძლებს,
ან გრძნობა ვით არ გაქვს ცხვირ-
ში?
შენ შენს დღეში უნდა ჩაკვდე
და ჩაიხრჩვე კაცი წვირში!“...
თუმც ხედავდა, რომ ეს ხვირი
ჩემს სანაგვე ყუთის თავებს
ძირ - ნარევი წყლისგან აჩნდა,
რაც სიწამხდრეს ასუფთავებს,
რაც ნაგავში ბაცილებს ჰკლავს,
ეზოს ჰაერს რაც ხაზევებს
რაც არც ფილტვებს ზიანს მის-
ცემს,
არც ცხვირს რამეს დაუშავებს...
ამავ დროს კი მახობელი
იწვა თვისთვის იქვე მილმა!
გულის წყრომა საიდუმლო
თუმც მოხაზა ჩემმა მჯილმა,
შიშით მაინც მისი ქცევის
ვერ გავბედე სიტყვით მირქმა:
გულში წლობით ძაღლივით ვყეფ-
ისე დამაშინა ჯირკმა!...

ბაზირა.

გაუგებრობა (სასამართლოში)

— აი, ყოჩაღ: ხედავ რამდენი საუტილიზაციო ძველი ქაღალდი დაუგროვებიათ?!

მოსამსახურე: — რას ამბობ?! ეს გაურჩეველი „საქმეებია“.

ერთი დღით ჩაქვში

ორი ქოთანი გავტეხე
ორი, ყამირ თიხისაო,
ასკურავას ჯავრი ჩაუვა
ჯავრი ჩვენი ჯიბისაო.

ასეთი სიმღერით მიგვეგება პლანტაციის მუშა და ჩაქვის სადგურთან ხელს უიმედოთ იქნევდა.

— გვიშველე რაიმე, ამხანაგო, თორემ სადღუთის „ბუფეტჩიკმა“ ასკურავამ გაგვატყავა, მთელ ჯამაგირს აქ ვტოვებთ ღვინოში. ...

თურმე ნუ იკითხავთ, კოოპერატიულ სასადილოებში ღვინის გაყიდვა, აუკრძალავთ, რაც კარგი საქმეა, მაგრამ ამით ვილაც ასკურავა აუშენებიათ, მათთან იყრიან თავს მუშები და ილეშებიან.

— ჩემზე დიდი კაცი ჩაქვში არ არის. ხომ ხედავთ ვერავინ გაბედა ჩემი კერძო ბუფეტის დაკეტვა. ჩევიგდე მუშები ხელში და რა მენაღვლებაო.—ყურში ჩამჩურჩულა ასკურავამ

ამ მდგომარეობამ არ დაგვაყენა კარგ ხასიათზე, ზღვის ნაპირზე გავედით გულის გადასახალისებლად. ღამე იყო, ნაპირზე მელიასავით განაბული იყო დემნა შენგელაია და თევზებს უთვალთვალებდა.

— სუთ, თევზების ყოფა-ცხოვრებას ვსწავლობ, თევზზე რომანი მინდა დავსწერო, მაგრამ ეგ ოხერი, ხუთმეტი დღე აქ ვარ და ერთი თევზიც ვერ დავიჭირე, რომ თავიანთი საიდუმლოება გაემხილა,—მითხრა მან.

— მიშველე დავიხრჩვი—მოგვესმა ხმა ისევ სადგურიდან. ხალხი საპირფარეშოს წინ იდგა. ფეხისალაგში ჩავარდნილი კაცი ცოცხალ-მკვდარი ამოეთრიათ, თავიდან ფეხებამდე ამოსვრილი.

— ასეა ძმაო, ხომ ხედავთ საპირფარეშო სახურავამდე სავსეა უსუფთაობით. ხანამ თვით ჩვენი სანიტარული ექიმი არ ჩავარდება შიგ, მანამ არ გაახელს თვალებს.

მუშების მიერ გამოწერილი გაზეთები კონა-კონათ აწყვია ჩაქვის ქოხ-სამკითხველოში, ხელუხლებლად ისე, როგორც ეს გაზეთების ექსპედიციას გაუგზავნია ცენტრიდან.

— რა ვქნა მე ახალი დანიშნული ვარ, ჩემამდი ვინც მსახურებდა, ისიც ახალი იყო, შეიძლება ეს გაზეთები ქე დაგვეიგებია მუშებზე, მაგრამ რაღა საჭირო იყო დარიგება, როცა მე მაგალითად ყველა გაზეთს ვკითხულობ აქ, და ჩაქვში ერთი განვითარებული კაცი კმარა—თითქოს იხუმრა ქოხსამკითხველოს გამგე ქალმა და გაიღიმა, მაგრამ ისევ მოიწყინა, როცა ხატარტაროზი დღიური ამოვიღე და შიგ დავინიშნე. ფოტო აპარატი დაგროვილ გაზეთებს მიუმიზნე და ტარტაროზის თვალით გაუჭვრიტე.

— არ გადიღოთ თორემ თავს მოვიკლავ, აწი გაზეთებს სულ არ შემოვიტან სამკითხველოში—დაიწყო მუდარა, მაგრამ აპარატმა წკვერტა და აი ეს სურათიც.

— ჩვენში დამკვრელები და საერთოთ მუშები, ძალზე შეგნებული არიან, თვალის ჩინივით უვლიან პლანტაციებს—მესაუბრებოდა იქაური მუშაკი და ჩაის პლანტაციებს ვათვალიერებდით, რომ ამ დროს ხანძარი დავინახეთ, ბამბუკის ტყე იწვოდა.

— რა უშავს, წელს დავწვით, გაისათ გავაშენებთ, კაცი იყოს კარგათ და ბამბუკი თავზე შემოევლოს—იხუმრა ერთმა მათგანმა.

ივანიკა.

გამოიცანით

(ოზურგეთი)

თუ საქმე გაქვთ მას შეხვდებით
მაზრის პოლიტგანში.
წვიმაში კი—კაბინეტში,
მზიან დარში— ბაღში.
ბანოვანი გვერდით ახლავს
მკვლავგაყრილი მკლავში.
სამკითხველოს საქმეები
მას არ მოსდის თავში.
აცანაში მიამაგრეს
როგორც ბრიგადირი,—
მაგრამ მას ჯერ არ უქნია
ამ სოფლისკენ პირი.
ბათომიდან რომ გამოვა,
შემდეგ მოდის ტფილისს:
(იქ ცოტა ხანს ვერ დარჩება
ბარე ორ თვეს ილის).
მოვაგონოთ:—ამხანაგო.
საქმეს უნდა შველა.
აწ გეყოფა სეირნობა,
სიარული ნელა.

ყლაპაძე.

ზედა-საზანო

— რა ვუყოთ, კაცო, რომ ჩვენი სი-
მონიკა მღვდლის შვილია, ეკლესია-
ზე დაიარება და ჯვარს დაატარებს
ასე აღზარდა მამა მისმა და რა გასა-
კვირია, რომ ამ ცხოვრებას ვერ შე-
ეგუოს.

—როგორც მასწავლებელი, ჯვარს
არ უნდა ატარებდეს!

— ბიჭო, ჯვარი შიგნით აქვს ჩა-
მოკიდებული, თორემ გარედან ხომ
არ სჩანს.

— ამას წინეთ დამთვრალიყო და ტ
ლახში ჩაფლულიყო. კალენიკე თავ
ზე რომ არ წადგომოდა, ცუდი საქმ
დაემართებოდა.

სამი დღის წინათ სიმინდი რიგდე
ბოდა ქვედა - საზანოში. ათი ფუთ
უნდა მრგებოდა, მარა სამი ფუთ
დიდი ვაი - ვაგლახით ძლივს გამო
ვიტანე. ჩვენ თავმჯდომარე გრიგო
ლიას ნაცნობები და მოყვრები არ
გამოელია, ხუთი ფუთის მაგივრად
ხუთმეტ ფუთს ატანდა, ზოგიერ
გლეხებს-კი ორი ფუთიც არ მისც
— იმ დღეს რაცხა პაწა საქმე მქონდ
ალმასკომში და შევიარე, აგერ და
ვინახე სიმონიკა, დამთვრალიყო. ის
ატრიალებდა ტელეფონს, როგორ
არ ლანს.

— რაით, პოო... ხვალ თუ ვერ მოვ
დი სკოლაში, კალენიკე აუხსნი
ჩემს მაგივრათ გაკვეთილს მოსწა
ლეებსო. გაათავა ლაპარაკი, მოვიდ
და დამკოცნა ბარიშნა ქალივით.

პილპილაძე.

პირდაპირი გაგებით

ადგილებზე გაგზავნილი დამკვრელი ბრიგადები ხშირად უწესოდ იქცევიან.

— მართლაც კი ყოფილან **დამკვრელები**! რა გემოიანად დასცხეს ერთმანეთს!?

წერილი მეგობარს

ეზწო-თიანეთი

სალამი ივლიანე.

მივიღე შენგან გამოგზავნილი წერილი, რომელშიაც იეწრები შენს თავგადასავალს.

იწერები, რომ ექვსჯერ გამჭიმეს გაზეთში და „ტარტაროზში“, მაგრამ წარბიც კი ვერ შემიხარეს.

წავიკითხე გაზეთში შენს შესახებ, რომ „ალბულალის რაისკოლების გამგე ივლიანე მარკოზია, როგორც შეუფერებელი და უვარგისი, მოხსნილია სამსახურიდანო“. მაგრამ რა დაგაკლეს. დაგაწინაურეს და რაიონის რწმუნებულად დაგნიშნეს ისევ ალბულალში.

ხომ იცი, ჩემო ძმაო, ცენტრში თუ კარგი „გუთნის დედა“ გყავს, რა გიჭირს მაშინ.

ეხლა კი მსურს ცოტა ჩემი ამბავიც მოწგერო.

ხომ იცი, სამი მთავრობა გამოვიცვალე და ისევ ჩემს ადგილზე ვარ.

ვსარგებლობ, ძმაო, დროით, ხან იმის ვარ, ხან ამის, ერთი სიტყვით, იმის, ვინც „იქნება“.

ამ ბოლო დროს გადამეკიდენ ეს კორესპონდენტები და საშველს არ მაძლევენ: „პროტექციით არავინ დანიშნო, სახელმწიფო ფული არ შეჭამო, კორესპონდენტებს ნუ სდევნით, სკოლები დაათვალიერე და ქრთამი არ აიღოო.

ამის შემდეგ იმსახურება, ჩემო ძმაო?!

არა,, არ იმსახურება, მაგრამ მე შევატრიალე მათი ლოზუნგები და პირიქით ვიქცევი. მაგ. სამსახურში იმას ვნიშნავ, ვინც მაქეიფებს და კარგ წვეულებას გამიმართავს, სახელმწიფო ფულს კი 1.200 მანეთზე მეტს გამოუყვანე წირვა (ეხლა საქმე პროკურორზე არის გადაცემული). ბარე ორი კორესპონდენტი მოვხსენი და ერთი მყავს ეხლა დარჩენილი, გაზეთში და „ტარტაროზში“ რომ „ჩხაპნის“, მაგრამ იმასაც მალე მოუგრეხ კისერს. სკოლები არც ერთხელ არ დამითვალიერებია, ქრთამს კი ავილებ, მაგრამ ვინ მოგცემს.

ერთ ჩემს მასწავლებელს ვსთხოვე ერთი ფუთი თაფლი, მაგრამ გაასაჩივრა და ეხლა საქმე გამომძიებელზე არის გადაცემული.

აქ აღარ იმსახურება, თუმცა ჯერ-ჯერობით, სანამ დავლიანიძე არის რაიალმასკომის თავმჯდომარე, არა მიშავს. (ჩემს სახლში დგას და ხომ იცი „პურ-მარილს რა ძალა აქვს!) თუმცა ამ ბოლოს ისიც, „მაკარონის“ ფეხებზე სდგას, მარა, სანამ იქნება ვერავინ ხმას ვერ გამცემს.

ისე, ერთხელ რომ კიდევ ვინმე დაგვწერდეს გაზეთში, იქნებ კიდევ გვიქნან „პოვიშენია“.

ასე ჩემო ივლიანე, დასცხე შენ მაქედან, მე აქედან.

სხვა ახალი აქ არაფერია.

შენი მეგობარი:

ვ. ჯიბლაძე.

წერილის ხელში ჩამგდები **შევარდენი.**

ტყიბულელი სტუდენტები

ძაღლი მიაკვდა მის პატრონს, ვინაც ის სთქვა, რომ სტუდენტმა პრაქტიკანტებმა არშიყობა არ იციანო.

დედა! გადევირიე კაკალი კაცი! მე ვთქვი, ეს ხალხი პრაქტიკაზე არიენ, მომავალი ინჟინერები იქნებიან და თავს მიაკლავენ აქ გვირაბებში მუშაობასათქო; გაგიგონია?!—მუშაობას კი არა, არშიყობას მიაკლეს თავი!

რეხვე

სტუდენტების მთელი დასი
შესევია ზურმუხტ მდელოს
და თავს აკლავს გატაცებით
„წარმოებას" სასახელოს,
ერთი გეგმას „საწარმოოს",
უჩურჩულებს თავის დამას,
მეორე კი ვერტიკალურ
კოცნას უძღვნის სატრფო თამარს.
მარო ნიკოს „ეფრონცკება",
ეხრუკება პეტკა ნინას,
ყველა საქმეს შესდგომია,
ყველა ფხიზლობს, არვის სძინავს.
„ზოგი აქით, ზოგი იქით,
ზოგიც კიდევ „გაღმაპირას",
„მიჯნურობის" ალით იწვის",
„სიყვარული" გულს უგმირავს.
ვაშა, ვაშა იმათ შრომას,
„ცხონდა მათი მამის სული"...
ფას იმათზე უკეთესი
მუშაობა პრაქტიკული. მ—ზა.

გ ო დ ო რ ი

ან-ს (ქუთაისი). თქვენი ლექსი ასე თავდება:

რაშოვ-რერო, რაშოვ, რერო,
რაშოვ-რერო, რია-რია,
ამ ძაღლების საქციელმა
თუ გწამთ ღმერთი გადამრია.

ეჭვი არ გვეპარება განსაკუთრებით თქვენი ლექსის უკანასკნელ სტრიქონის სინამდვილეში. ჩვენი ღვთისმორწმუნეობის რა მოგახსენოთ, თქვენ რაკი ღმერთი ისე გულით გიყვართ და გწამთ, ილოცეთ!—„უეჭველად განიკურნებით".

ბარდაველს (ჭიათურა). მოგვყავს თქვენი ლექსის ნაწილი, როგორც „უბადლო" შემოქმედების ნიმუში:

მუშკოპის საკანდიტროში
მსახურობს ერთი ქალი,
წელში არის მოყვანილი
ისე აუშენდეს კოხი.
სახე აქვს აპრელებული,
როგორც დანაკოხი ყანა.
პუდრ-პამადა სულ ხელში აქვს,
წარა-მარა პირზე ისვამს.

დანარჩენი ლექსები „საკონკურსოთ" შევინახეთ უფსკერო გოდორში.

დროშელს (იქვე). ვათავსებთ თქვენს ამოცანას:

ვინ არიან, აგერ ჩვენ წინ, რომ მიდიან სამი?
ორი შეყვარებულია,—ერთი მაჭანკალი.
ამათშია ორი ქალი,—ერთი არის კაცი,
ამ ყმაწვილს ვინ არ იცნობს, ქუთაისს ყავს ქალი,
პატიოსან ცოლს ღალატობს, მას დაუდგა თვალი.

მართალი გითხრათ, ჩვენც ვერ გავიგეთ თქვენი გმირების ვინაობა, მაგრამ ის კი გავიგეთ:

რომ ავტორი ამა ლექსის,
არის ვინმე ჭორიკანა,
და გოდორში გადუძახეთ.
მიუმღერეთ „ნანა, ნანა".

ჟორას (ლანჩხუთი). ვათავსებთ შენგან გამოგზავნილ კარიკატურის („სასადილოს მსხვერპლი"-ს) წარწერას:

— რა დაემართა იმ კაცს პირს რომ აღებინებს?
— ალბად კოლექტივის სასადილოში ისადილა და რაცხა უხიაგი ჩაყოლია პირში.

რაც შეეხება თვით კარიკატურას, არ დაიბეჭდება, რადგან იქ გამოყვანილი გმირი პირს აღებს კი არა, გეგონებათ „მურმანის არიას" მღერისო.

„იძს" (ზესტაფონი) ხელმოუწერელი წერილი არ დაიბეჭდება.

ს. გოჭორიშვილს. „ტარტაროზი"-სათვის ეს მასალა არ გამოდგა.

ჭაპანის საყვირს (ნიგოითი) საქმე იმაშია, რომ

სევერო აბუსერიძე,
ფიფია გრიშა, უშანგი
დოლიძე ლეო და სხვები,
აი, რაშია „მსუნაგი".
ხშირად აქვთ გამართული
თამაშობა აზარტული.
„დაი ბანკი"-ს დაძახებით
სულ აცანცლეს ურთიერთს ფული. კი, მაგრამ მაშინ ვინ-ღა „ჩაცანცლა" ფული?

სატარტაროზო წერილი ასე გრძლად არ იწერება და არც ასე „ხელწამოკვრით". დაამუშავეთ უფრო კარგად და მოკლედ დასწერეთ.

გ—ლის (მიქე-გაბრიელი). გვქონდა ამის შესახებ წერილი „ტარტაროზში".

ჭინკას (ტყიბული). ლექსის წერას რომ თავი დაანებოთ, თქვენ არც არითმეტიკა გცოდნიათ. სწერთ: **„მარტის თვის განმავლობაში იპოლიტემ შეურაცყოფა მიაყენა 64 მგზავრს; აქედან: 16 დედაკაცი, 48 მამაკაცი, 6 ინტელიგენტი და 58 მუშა".** ჩვენი ანგარიშით ეს უდრის—128-ს, და არა 64-ს.

ც 345
1930

საბინაო ბიუროში

ბინების გაცვლა-გამოცვლა

რედაქ.: სარედაქციო კოლეგია; გაზ. „მუშას" გამოცემა; საქ.-პ.-ტრ. 5-თე სტამბა; მთავლ. № 1319